



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

ვიქტორ ნოზაძე – 130

პროგრამა

7 დეკემბერი

2023

კონფერენციის საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი

სიმონ ნოზაძე

ეკატერინე ნავროზაშვილი

ზვიად მურადაშვილი

ნინო პოპიაშვილი

მირზა ნოზაძე

ირინა ნოზაძე

რეგლამენტი:

მოსვენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

7 დეკემბერი

11.00

კონფერენციის გახსნა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

მისალმებები

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

11. 30-15. 00

სხდომის თავმჯდომარე: დოქტორანტი ირინა ნოზაძე

მარიამ ნოზაძე

გასტრონომიული რეალიები ტექსტსა და თარგმანში მ. ვ. ლიოსას რომანის „დეიდა ხულია და ჯლაბნია“ ქართული თარგმანის მიხედვით

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატეხინე ნავხოზაშვიდი, დოქტოროპი ირინა ნოზაძე

ნინო შიომღვიმელი

თვითმკვლევლობა – შვება თუ განაჩენი, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით

ხელმძღვანელი: დოქტოროპი ირინა ნოზაძე

ნატო დარბაიძე

ალფრედ ჟარის „იუბიუ მეფე“

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატეხინე ნავხოზაშვიდი

საბა კალანდარიშვილი

ქალის შრომა სოციალისტურ ყოფაში: შემთხვევის კვლევა, სოფ. წყავროკა

ხელმძღვანელი: პხოფ. ქეთევან ხუციშვილი

ია ნადირაშვილი, მარიამ გაფრინდაშვილი

ძირითადი პოსტულატები ქართველ ფემინისტ ქალ თეორეტიკოსთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში – ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე, კატო მიქელაძე

ხელმძღვანელი: ასოც. პხოფ. ნინო დუხგრიშვილი

ია გოლიაძე

1921 წლის საქართველოს გასაბჭოების საკითხი და საერთაშორისო გამოსმაურება

ხელმძღვანელი: დოქტორი იჩაკვი ნოდია

თეზისები

ია გოლიაძე

1921 წლის საქართველოს გასაბჭოების საკითხი და საერთაშორისო გამოხმაურება

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ თუ როგორ გამოეხმაურა საერთაშორისო საზოგადოება 1921 წელს ბოლშევიკური „წითელი არმიის“ მიერ საქართველოს ოკუპაციას. საკითხის გასაანალიზებლად ჩვენ გავეცანით საერთაშორისო კონვენციებს, გენუისა და ერთა ლიგის დასკვნებს. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების გადმოსახედიდან განვიხილეთ სახელმწიფოთა და ცალკეულ ლიდერთა დამოკიდებულებები საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ. სახელმწიფოებს საქართველოს ოკუპაციაზე არერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ – საფრანგეთმა და გერმანიამ დაგმო საქართველოს სუვერენიტეტის შელახვა, ხოლო ზოგიერთმა ან ნეიტრალური პოზიცია აირჩია ან იმპერიის სასარგებლოდ მოქმედებდა. გარდა საერთაშორისო აქტორებისა, გასათვალისწინებელია თვით საქართველოში მოღვაწე სამთავრობო ლიდერები და მათი მცდელობები საქართველოს ოკუპაციის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენაში, საინტერესოა რა მეთოდებს იყენებდნენ ისინი ამ თვალსაზრისით და რა გამოწვევებს აწყდებოდნენ. მათ შორის, აღსანიშნავია ემიგრაციაში წასული ქართული ელიტა. ნაშრომში საუბარი იქნება დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრებზე საფრანგეთში საქართველოს ელჩთან და მათი ძირითადად მოლაპარაკებების მთავარი ასპექტებზე. აგრეთვე, ნახსენები იქნება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომელმაც რამდენჯერმე შეახსენა საერთაშორისო საზოგადოებას ბოლშევიკური რუსეთის გაუმართლებელი და ესპანსიონისტური პოლიტიკა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ერთა ლიგის დასკვნები საქართველოს გასაბჭოებაზე და დაწვევრ სახელმწიფოთა დამოკიდებულებები საქართველოსადმი.

საბოლოო ჯამში, საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო 1921 წელს საქართველოს გასაბჭოება მორალურად, თუმცა არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი ქმედითი ნაბიჯი მათი მხრიდან განხორციელებული. საერთაშორისო სისტემის ზოგიერთმა აქტორმა საკუთარი ინტერესისა და მოტივის დასაცავად შეინარჩუნა გულგრილი დამოკიდებულება ან ნეიტრალური პოზიცია და ამჯობინა ღიად არ დაპირისპირებოდა ბოლშევიკურ რუსეთს.

ალფრედ ჟარის „იუბიუ მეფე“

ალფრედ ჟარი გახლდათ ფრანგი მწერალი, რომელიც სათავეში ედგა სიმბოლისტ და მოდერნისტ პოეტთა ჯგუფს. მის სახელთანაა დაკავშირებული ერთ-ერთი ცნობილი გროტესკული პიესა „იუბიუ მეფე“. ტექსტში წარმოდგენილი ფაქტები ერთმანეთს პარადოქსულად ერწყმის, რაც ქმნის უაზრობასა და ძალადობის ზეიმს.

ალფრედ ჟარის გროტესკული ფარსი „იუბიუ მეფე“ პირველად 1896 წელს პარიზში დაიდგა. ავტორი მიმართავს სატირას, აბსურდსა და შავ იუმორს. პიესის მთავარი გმირი, იუბიუ, ძალადობის, სიხარბისა და უგუნურების განსახიერებაა. ნაწარმოებში, ზოგადად, ტირანიაა გაშარუებული. მასში ასევე ვხვდებით შექსპირის ტრაგედიების პაროდირებას და მინიშნებებს მსოფლიო ლიტერატურისა და თეატრის არაერთ შედევრზე. ავტორი აწყვილებს რაბლეს გროტესკსა და შექსპირის ტრაგიზმს, ქმნის ახალ ენას, ახალ ესთეტიკას და სცენაზე პატაფიზიკა (მეცნიერების პაროდია) შემოჰყავს, რომლის გამომგონებელიც თავად ალფრედ ჟარია.

საბა კადანდახიშვილი

ქალის შრომა სოციალისტურ ყოფაში: შემთხვევის კვლევა, სოფ. წყავროკა

გასაბჭოებამდე არსებული სოციალური და გენდერული კონტექსტი საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში განსხვავებული იყო, თუმცა, გასაბჭოების შემდეგ იდეოლოგია ყველა რესპუბლიკისთვის საერთო გახდა. სოციალიზმმა შეცვალა კაცის და ქალის როლის კონფიგურაცია. ქალებს დააკსრა ახალი პასუხისმგებლობა. შეიცვალა ის გენდერული მიმართება, რომელსაც XIX-ის კაპიტალიზმი იცნობდა. ფაქტობრივად, ქალი საზოგადოებრივ ასპარეზზე გააქტიურდა, მაგრამ, მეორეს მხრივ საოჯახო საქმე კვლავ მხოლოდ ქალის საზრუნავად მოჩანდა.

ქალების ჩართულობა საბჭოთა კავშირის სამუშაო ძალაში წლების მატებასთან ერთად მკვეთრად იზრდებოდა და 1981 წლისთვის უკვე ქალები სამუშაო ძალის 81%-ს შეადგენდნენ. ქალთა უმრავლესობა ინდუსტრიასა და სასოფლო სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული, სახელწიფო სტრუქტურებში მათი მოღვაწეობა კი ძირითადად მდივნობით შემოიფარგლებოდა.

ჩვენთვის საინტერესოა სოციალისტური სისტემის გვიანი პერიოდის (70-80 -იანი წლები) ქალთა უფლებრივი და ყოფითი მდგომარეობა, რომელსაც განვიხილავთ სოფლად მცხოვრები მშრომელი ქალის მაგალითზე. კვლევა ძირითადად დამყარებულია ინტერვიუების მეტოდზე, რომელშიც მთხრობელი გადმოსცემს პირად გამოცდილებას, კოლექტიურ მეხსიერებასა და იმ დროინდელ ისტორიულ პროცესებს.

კვლევის პროცესში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: 1) ქალთა ჩართულობა საყოველთაო კოლექტიურ შრომაში და მათი უფლება-მოვალეობები გენდერული გადმოსახედიდან. 2) მშრომელი ქალების ისტორიულ-კულტურული მეხსიერება, როგორც წინააღმდეგობრივი ფენომენი. 3) საბჭოთა პოლიტიკის გავლენა ცალკეულ ყოფით თემებზე.

ია ნაღიხაშვიდი

მაჩიამ გაფხინდაშვიდი

ძირითადი პოსტულატები ქართულ ფემინისტ ქალ თეორეტიკოსთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში – ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე, კატო მიქელაძე

ცნება ფემინიზმი ფართო მნიშვნელობის ფენომენია. მოაზროვნეებს თავისებური, საინტერესოდ გაშლილი წარმოდგენა აქვთ აღნიშნული ცნების მიმართებით. საქართველოში ფემინისტური ღრებულებები, ქალის ძალა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში გამოვლინდა თამარ მეფის მოღვაწეობისას. თუმცა დროისა და ეპოქების ცვლილებამ ქალის ხატის გამოსახულებაც შეცვალა. ჩაგვრა საზოგადოებაში ხშირად ჩნდება მყისიერად, გარკვეული სოციო-პოლიტიკური ძვრების შედეგად, თუმცა არის შემთხვევები, როცა ადამიანთა დაქვემდებარება საკმაოდ ლატენტურად ხორციელდება. ისტორიამ აჩვენა, რომ ამგვარი მარგინალიზაცია ხშირად სწორედ ქალთა მიმართ წარიმართებოდა. მართალია, ქალთათვის უფლებების შეზღუდვა საუკუნეებს ითვლის, თუმცა, საბედნიეროდ, ყოფილა შემთხვევები, როცა სამოქალაქო ასპარეზზე გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც თამამად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ქალთა მდგომარეობის შესახებ და აქტიურად მუშაობდნენ მათი სხვადასხვა სფეროში ემანსიპაციისათვის. საბედნიეროდ, საქართველოშიც, ქალთა გასაჭირის ჟამს, სამოქალაქო ასპარეზზე მათი უფლებებისთვის მებრძოლი ქალები გამოჩნდნენ. მათ შორის იყვნენ XIX საუკუნის გამოჩენილი ფემინისტი თეორეტიკოსები: ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე და კატო მიქელაძე. მათი ცხოვრება და

შემოქმედება იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი პათოსით იყო განმსჭვალული, რომ დღემდე არ კარგავს აქტუალურობას.

გამოვყოფთ იმ ძირითად პოსტულატებს, რაც კატო მიქელაძისა და ბარბარე ჯორჯაძის ნააზრევში ნათლად იკვეთება:

კატო მიქელაძე აქტიურად საუბრობდა იმ საკითხებზე, სადაც ქართველ ქალთა მარგინალიზაციის სათავეებს ხედავდა, მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ქალის, როგორც მოქალაქის როლი და უფლებები, მათი ეკონომიკური მდგომარეობა, რაზეც მუდმივად იმაღლებდა ხმას. იგი ყურადღებას აქცევდა გენდერულ თანასწორობას სამართლებრივ ქრილში.

არც ბარბარე ჯორჯაძე უშინდებოდა სამოქალაქო აქტიურობას. იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ქალთა უფლებების შესახებ აიმაღლა ხმა. *კაცებისთვის ქადის დისკჰიმინაციის შეწყვეტის მოწოდება იყო ძიხითადი ბეჩკეტი, ხითაც იგი ქადთა სამოქალაქო ხოდის გაზიდას ცდილობდა. აქტიუხად ავითაჰებდა ქადისა და კაცის სამოქალაქო თანასწორობის იდეას. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ქალის შესაძლებლობების ცხადად წარმოჩენა რომ მუდმივი ჩაგვრის მიუხედავად, ქალის ნიჭისა და გონების დათრგუნვა შეუძლებელი იყო.*

მახიამ ნოზაძე

გასტრონომიული რეალიები ტექსტსა და თარგმანში მ. ვ. ლიოსას რომანის „დეიდა ხულია და ჯღაბნია“ ქართული თარგმანის მიხედვით

რეალია, როგორც ცნება, აღნიშნავს კულტურული სპციფიკის მქონე ლექსიკურ ერთეულს, რომელიც წარმოადგენს კულტურულ იდენტობას. ყველა მხატვრულ ნაწარმოებში აღბეჭდილია იმ ხალხის კულტურული რეალიები/ეროვნული კოლორიტები, რომლის წარმომადგენელიცაა ესა თუ ის მწერალი. კულტურული რეალიები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. ესენია: გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიები და თარგმანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რეალიების სწორად გადმოტანა. თუმცა ეს მეტად საფრთხილო საქმეა, რადგან ეს ისე უნდა მოხდეს, რომ რეალიამ თარგმანში არ დაკარგოს ეროვნული კოლორიტის სახე. მხატვრული ტექსტის მთარგმნელს აუცილებლად სჭირდება ზუსტი ეკვივალენტის ცოდნა, ან მიახლოებით შესაბამისობის დაძებნა იმ კულტურაში, რომლის ენაზეც ითარგმნება ტექსტი. სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ რეალიების

ტრანსპოზიცია თარგმანში, არსებობს რამდენიმე მოსაზრება. თარგმანთმცოდნე ხათუნა ბერიძე გამოყოფს რეალიების გადმოტანის 5 ტიპს. ესენია:

1. ახსნა-განმარტება, ტექსტის შევსება დამატებითი, საჭირო ინფორმაციით;
2. ფუნქციური ეკვივალენტით ტრანსპოზიცია;
3. რეალიის განზოგადების / გენერალიზების მეთოდით თარგმნა;
4. ტრანსლიტერაცია / ტრანსკრიპცია;
5. გამოტოვება.

ჩემი კვლევის საგანს შეადგენს გასტრონომიული რეალიების ტრანსპოზიცია თარგმანში. კერძოდ, საკვლევად ავიღე მარიო ვარგას ლიოსას რომანის „დეიდა ხულია და ჯლაბნია“ 2022 წლის თარგმანი, რომელიც შესრულებულია ნინო ფიფიას მიერ. კვლევის მიზანია დავაკვირდეთ, რა სახით გვხვდება რეალია დედანში, რა მნიშვნელობის მატარებელია ის თავის კულტურაში და როგორ, რა ხერხით გადმოაქვს მთარგმნელს, გვანჯდის თუ არა ამ რეალიის შესახებ რაიმე დამატებით ინფორმაციას.

ნინო შიომღვიმელი

თვითმკვლელობა – შვება თუ განაჩენი

დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით

დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“ აგებულია ქრისტიანულ მოტივებზე. მსოფლმხედველობა, იდეურობა, სტრუქტურა და კანონიკა დაფუძნებულია კათოლიკური ეკლესიის წესდებაზე. არ ახალია, რომ მის პოემაში სამობითობის პრინციპი მთავარძარღვეულია და ყველაფერი სწორედ სამების პრინციპის მიხედვით აქვს აგებული.

„ღვთაებრივი კომედიის“ პირველი ნაწილი არის „ჯოჯოხეთი“, დანტეს სახელდებით ინფერნო. ის შედგება 9 წრისგან, აქვს ძაბრისებრი ფორმა და თითოეულ წრეში იტანჯებიან სხვადასხვა ცოდვით დამძიმებულ ადამიანთა სულები. წრეთა გარკვეული ნაწილი ჩაშლილია, დამატებული აქვს სხვა შრეები და უფრო დაწვრილებით არის აღწერილი იქ მყოფთა მდგომარეობა.

ჩემი მოხსენების თემა არის მეშვიდე წრე, მოძალადეების განყოფილება. ეს წრე თავისმხრივ დაყოფილია 3 ქვეშრედ: 1. მკვლელები, ქურდები. 2. თვითმკვლელები. 3. ღმერთის და ბუნების წინაშე მოძალა-

დეები. მე განვიხილავ კონკრეტულად თვითმკვლელთა საკითხს, რომელიც აღწერილია ჯოჯოხეთი მე-13 ქებაში.

თვითმკვლელები განთავსებულნი არიან ტყეში. მოგეხსენებათ, ჯოჯოხეთში შემოსასვლელი კარიბჭეც სწორედ ტყე იყო, სადაც ავტორს გზა აებნა. ეს ახალი პასაჟია პოემაში, მაგრამ ორივე ტყეს თავისი დანიშნულება აქვს-სიკვდილს გამოხატავს, ადამიანის საცხოვრის მოკლებულია, შიშის აღმძვრელია, სასონარკვეთილების უმაღლესი საფეხური. ავტორი გვეუბნება რომ აქ არც ერთი ბილიკი არ არის გაკვალული, რაც ზოგიერთი კომენტატორის აზრით თვითმკვლელთა შეუწყნარებლობაზე მიგვითითებს.

ჩემი მოხსენება ეძღვნება თვითმკვლელთა განთავსების საკითხს. ვიმსჯელებ, თუ რა მიზეზით შეიძლება განეთავსებინა დანტე ალიგიერს თვითმკვლელები მეშვიდე წრეში და არის თუ არა ეს შემწყნარებლური დამოკიდებულება პოეტის მხრიდან.



უნივერსიტეტის
გამოცემლობა